ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N32

2025 წლის 25 აპრილი
ქ. ამბროლაური

,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 06 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 06 თებერვლის N13 განკარგულებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქუჩა N13).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

1. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე მდებარე 224 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.579.

2. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე მიმდებარედ 40 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.252.

3. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ 28 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.581.

4. ქ. ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩა N21ა-ში მდებარე 64 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 86.19.25.819.

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე 20 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული (ყოფილი სანავთის) შენობა ს/კ: 86.11.25.470

6. ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორადი) კონდენციონერები, რაოდენობით 22 (ოცდაორი) ერთეული.

7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე 2748 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შაორის მიმდებარე ტერიტორია) ს/კ: 86.11.31.844.

8. ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ 711 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.28.237.

9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭელიაღელეში მდებარე 1245 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული (ყოფილი კლუბ-კანტორა) შენობა-ნაგებობა ს/კ: 86.12.22.010.

10. ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 180 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.28.458.